დანართი №2

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

თათია გივიშვილი

(თბილისი, 2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 28 დეკემბერს წარდგენილ იქნა განაცხადი ქ. ბათუმში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ცენტრში რეგისტრაციის N1667626), რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 20 იანვარს გამოიცა ბრძანება N MES 6 23 0000053387 ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უნივერსიტეტში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 თებერვალს (ქ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩა N15).

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; პროგრამის ხელმძღვანელებთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება. შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია და მარეგულირებელი აქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ვიზიტის ფარგლებში ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. პროგრამის შემუშავების ეტაპზე აღმოჩენილი დარღვევის გამო, შეფასებისას ასევე გამოიკვეთა 4.1.1. სტანდარტის მე-3 ინიკატორის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობა. კერძოდ, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს. ის აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელმაც ასევე უზრუნველყო შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასება. აღნიშნული დასტურდება როგორც ადმინისტრაციის, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრების ინტერვიუირებით და სამუშაო ჯგუფის ოქმებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რაც იწვევს ავტორიზაციის **4.1.1. სტანდარტის მე-3 ინდიკატორის „პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს“ დარღვევას.** სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და არსებული პროცესები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს. **ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 ივლისის N795272 ბრძანების საფუძველზე, 2022 წლის 25 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ გაცემულა. შესაბამისად, **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება არ მომხდარა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილია საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს. ასევე, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების ინტერვიუირებით დასტურდება, რომ ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, ის აქტიურად იყო ჩართული პროცესში და ასევე ახდენდა შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი.
   მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, **პროგრამის შემუშავების ეტაპზე იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. ამ პირობებში მეოთხე სტანდარტთან ერთად, მეორე სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შეფასებით გამოიკვეთა, რომ 2 პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის კვირეული დატვირთვა აღემატება 40 საათს. შესაბამისად, **მასწავლებელთა დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/36 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში, შესაბამისი ცვლილებები არ შეხებია განხორციელებელი პირების დატვირთვას და პროგრამის მდგრადობას. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში გაიცა შემდეგი **შესაბამისობის რეკომენდაცია:**

2.2.2 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, შეფასდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები, რადგან ისინი გაფორმებულია დადგენილების ამოქმედების შემდეგ. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მთავრობის დადგენილებითვე გაწერილი მინიმუმ 3 კრიტერიუმი და ჰქონდეს შეფასების მტკიცებულებები. აღნიშნული კრიტერიუმები და მტკიცებულების ფორმები დაწესებულებას წესის სახით უნდა ჰქონდეს გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ არ აქვთ წესი, რომლითაც მოხდებოდა პრაქტიკის ობიექტების შეფასება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/35 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები და განისაზღვრა 2 თვიანი ვადა წესის შესამუშავებლად. შესაბამისად, **სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გასაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესის შემუშავება.**

ვიზიტის ფარგლებში გაიცა შემდეგი **განმავითარებელი რეკომენდაცია:**

2.2.2. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 1 მასწავლებლის ხელშეკრულება, რომლითაც ის იღებს ვალდებულებას განახორციელოს მიკრობიოლოგიის მოდული, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დანართში აღნიშნული პირი გაწერილი არაა. ინტერვიუირებით გაირკვა, რომ აღნიშნული პირი არ იქნება ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ პირთან არ იყოს მოქმედი პირობითი შრომითი ხელშეკრულება.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

5. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით ირკვევა, რომ შუალედური შეფასების კომისიაში შედიან პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები ან/და სხვა პირები. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად ასევე შედიან პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები. შესაბამისად, **სასურველია გაფორმებულ მემორანდუმებში პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან ერთად, დამატებით გაიწეროს შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა.**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, თუ მას სრულად ათვისებული ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. დაწესებულებას რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ შუალედური შეფასება სავალდებულია და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. შესაბამისად, **სასურველია ამ წესის შესაბამისად, შუალედურ შეფასებაში პროფესიული სტუდენტის სავალდებულო მონაწილეობა აისახოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც.**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება, რა ვადებში ხდება ხელახალი შეფასების დანიშვნა, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო კომისია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემდეგ. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით, ისე რომ დაცული იყოს წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალი, ან შესაძლოა ამ შემთხვევაში დაწესებულებამ სხვაგვარად დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევები, რაც დარეგულირებული უნდა იყოს რეგულაციით.

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის. აღნიშნული რეგულაციისგან განსხვავებით, საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/მონაცემები/მტკიცებულებები ინახება სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, **სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა და შესაბამისობაში მოვიდეს როგორც საქმეთა ნაერთ ნომენკლატურასთან, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საქეთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქეთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის N01-02/276 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	42 პროფესიული სტუდენტი მოდულური (კოოპერაციული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	**არ შეესაბამება**
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	**არ შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	**სრული**
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	**სრული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 დადგენილებით (ბოლო ცვლილება შესულია 2022 წლის 25 ოქტომბერს N06-01/118) დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბსუ–ს მისიას და სტრატეგიულ გეგმას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და სხვა პირების გამოკითხვის ანალიზს. პროფესიული პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას ბსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დასაქმების ბაზრის კვლევას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელსა და მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ. ცენტრის დირექტორის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ბსუ-ს რექტორის მიერ გამოიცემა სამართლებრივი აქტი პროგრამაზე სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის პირი, რომელიც შემდეგში განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად. პროგრამაზე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი; ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი; პროფესიული განათლების მასწავლებლები, ცენტრის პრაქტიკის კოორდინატორი, დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებლები; პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სხვა. სამუშაო ჯგუფი შეისწავლის ჩარჩო დოკუმენტს, ახდენს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას, განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებს, მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს და სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციით ადგენს სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამა პირველადი შეფასებისათვის გადაეცემა ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის მუშაობას. ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, მოისმინოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან, მოითხოვოს საცდელი ლექციის/პრაქტიკული მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა), ასევე სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისათვის და კანონმდებლობასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შესაბამისობის მოყვანისათვის. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქცია წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.

უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის N01-02/170 ბრძანებით შეიქმნა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, რომლითაც ირკვევა, რომ შიდა რეგულაციის შესაბამისად სამუშაო ჯგუფმა განიხილა მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა, განსაზღვრა პრაქტიკის ობიექტები, შეიმუშავა პროგრამა და სხვა. რექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. მან ასევე უზრუნველყო შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასება. აღნიშნული დასტურდება როგორც ადმინისტრაციის, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრების ინტერვიუირებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რაც იწვევს ავტორიზაციის **4.1.1. სტანდარტის მე-3 ინდიკატორის „პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს“ დარღვევას.** ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით, მიზანშეწონილია სამუშაოს შეფასება არ უწევდეს პირს/სტრუქტურულ ერთეულს, რომელმაც მოახდინა შესაბამისი სამუშაოს შესრულება. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და არსებული პროცესები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს. **ამ პირობებში მეოთხე სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით, რომელიც შემუშავებულია სს „ევექსის ჰოსპიტლები“-ს წერილის საფუძელზე, ირკვევა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საექთნო საქმის თანამედროვე კონცეფციის მქონე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის. ჯანდაცვის ადამიანური რესურსის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდება წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში ხასიათდებოდა კლების ტენდენციით და ევროპის რეგიონის 53 ქვეყანას შორის საქართველო ამ მაჩვენებლით ბოლოსწინა ადგილს იკავებდა (0.8). ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი ასი ათას მოსახლეზე 2016 წლისათვის 501.7, ხოლო 2017 წლისთვის – 509.0 იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საქართველოს მსგავსი რაოდენობის მოსახლეობის მქონე ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას სამედიცინო პერსონალის ასაკობრივი განთესვისა და ბიოლოგიური დანაკარგების გათვალისწინებით ყოველწლიურად ესაჭიროება დაახლოებით 1200 ექთანი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა საქართველოს შიდა რეგიონებთან მიმართებაში. კერძოდ, ექთნების სიმწირით გამოირჩევა მაღალმთიანი რეგიონები, ბათუმში ფუნქციონირებს 10 სტაციონარი ჯამური საწოლ ფონდით დაახლოებით 1000 საწოლამდე და 120 პჯდ უბანი. ექთნების მცირე რიცხვის გამო ხდება პერსონალის როტაცია სამედიცინო დაწესებულებებში, რაც ამცირებს ხარისხს და ხელს უწყობს ჰოსპიტალური ინფექციის ტრანსფერს. ერთ-ერთ პრობლემას ექთნების ასაკი და საერთო სპექტრში, ამ სფეროში ახალგაზრდების სიმცირე წარმოადგენს. საექთნო კორპუსის 80% დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით, რომლებმაც საექთნო განათლება მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მიიღო და დღემდე მოღვაწეობენ.

ბსუ 2017 წლიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ახორციელებდა „პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პრაქტიკოსი ექთანი“ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტით გაწერილია, რომ აღნიშნული პროგრამა დაასრულა 25-მა კურსდამთავრებულმა, ხოლო მათი 70% დასაქმებულია ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში.

დაწესებულების მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმით, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 12 მარტს აკადემიური საბჭოს N06-01/20 დადგენილებით, ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში ამოცანები და აქტივობები გაწერილია 2022 წლისთვისაც. შესაბამისად კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამის შემუშავების ეტაპზე იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. **ამ პირობებში, მეოთხე სტანდარტთან ერთად მეორე სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.
3. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და იმ პრინციპებს მოიცავს, რაც საფუძვლად ედება კონკრეტული პროგრამისთვის კონტინგენტის განსაზღვრას. აღნიშნული წესით ირკვევა, რომ გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა.

   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 42 პროფესიული სტუდენტით (3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად გათვალისწინებულია 14 სტუდენტის მიღება). აღნიშნული კონტიგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა:

   - **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი,** რომელიც ითვალისწინებს კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებით მოთხოვნას. კერძოდ, კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა უნდა იყოს 1/7-ზე;
   - **პროგრამის განმახორციელებელი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები რაოდენობა.**
   - **ბსუ-ს A და B ტიპის სასწავლო გარემოები** - ზოგადი და თეორიული სწავლების მოდულები განხორციელდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში. 2 სასწავლო აუდიტორია გათვალისწინებულია ზოგადი და პროფესიული მოდულებისთვის, ხოლო მესამე აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერებით და გათვალისწინებულია მოდულის „საინფორმაციო ტექნოლოგიები საექთნო საქმეში“ სწავლებისთვის.
   - **ბსუ-სა და პარტნიორ კლინიკებს** (სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი, სს „ევექსის ჰოსპიტლები“ მ. იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი (ბი ემ სი)“ **შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები** - მემორანდუმები ითვალისწინებს მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და კლინიკური მოდულები განხორციელდება ბსუ-ს პარტნიორი კლინიკების ბაზაზე.

4. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში/ მოდულებში სწავლის შედეგების მისაღწევად მითითებულია რელევანტური რესურსები.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1106 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 დადგენილებით (ბოლო ცვლილება შესულია 2022 წლის 25 ოქტომბერს N06-01/118 დადგენილებით) დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება ბსუ-ს რექტორს დასამტკიცებლად. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის N01-02/276 ბრძანებით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 21 ნოემბრის N1481083 სამსახურებრივი ბარათისა და ცენტრის დირექტორის ვიზირების საფუძველზე. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამის შინაარსს/ პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, რადგან ზუსტად გამომდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებიდან.
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველი შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია, რომელშიც განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამა მოიცავს ქართული ენის მოდულებსაც.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში ვხვდებოდით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულია მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზრბაიჯანულ ან სომხურ ენებზე ტესტირების გზით.“ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე არ ხორციელდება შერჩევა. შერჩევა და ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, რომლითაც დარეგულირებულია, რომ შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. ამ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/36 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში და გაასწორა არსებული შეუსაბამობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის N01-02/170 ბრძანებით საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პრაქტიკოსი ექთანი“ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტით;
- პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმით;
- ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმებით;
- სს „ევექსის ჰოსპიტლები“-ს წერილით;
- რექტორის ბრძანებებით;
- ინტერვიუირებით;
- წესდებით;
- მისიით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გაითვალისწინება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 42 პროფესიული სტუდენტით (ყოველწლიურად გათვალისწინებულია 14 სტუდენტის მიღება, პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სულ 3 წლის განმავლობაში - 42). საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კლინიკური სწავლების კომპონენტს. ზოგად და თეორიულ მოდულებში ჯგუფში სტუდენტის რაოდენობა განისაზღვრება 14 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პრაქტიკული და კლინიკური სწავლება ითვალისწინებს ჯგუფში 7-7 პროფესიულ სტუდენტს.

აღნიშნული კონტიგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი,** რომელიც ითვალისწინებს კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებით მოთხოვნას. კერძოდ, კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა უნდა იყოს 1/7-ზე;
- **პროგრამის განმახორციელებელი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები რაოდენობა** - 39 პირი.
- **ბსუ-ს A და B ტიპის სასწავლო გარემოები** - ზოგადი და თეორიული სწავლების მოდულები განხორციელდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15). 2 სასწავლო აუდიტორია გათვალისწინებულია ზოგადი და პროფესიული მოდულებისთვის, ხოლო მესამე აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერებით და გათვალისწინებულია მოდულის „საინფორმაციო ტექნოლოგიები საქართველოს საქმეში“ სწავლებისთვის.
- **ბსუ-სა და პარტნიორ კლინიკებს** (სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი, სს „ევექსის ჰოსპიტლები“ მ. იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი (ბი ემ სი)“ **შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები** - მემორანდუმები ითვალისწინებს მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და კლინიკური მოდულები განხორციელდება ბსუ-ს პარტნიორი კლინიკების ბაზაზე.

2022 წლის 24 თებერვალს, დაწესებულებას საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრთან (ბი ემ სი), სს ევექსის ჰოსპიტლებთან - „მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი“- და „ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი“. გაფორმებული მემორანდუმები მოიცავენ კლინიკური სწავლების პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მოდულებს, რომლებიც განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ინვენტარის დასახელებას, რომლებიც ხელმისაწვდომია პრაქტიკის ობიექტზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას, რომელიც თითოეულისთვის ცალ-ცალკე შეადგენს 28 პროფესიულ სტუდენტს და სხვა ვალდებულებებს.

სს ‘’ევექსის ჰოსპიტლები“ - მ იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალის მიერ უზრუნველყოფილია შემდეგი მოდულების განხორციელება:

- კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

სს ‘’ევექსის ჰოსპიტლები’’- ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი უზრუნველყოფს შემდეგი მოდულების განხორციელებას:

- შინმოვლა;
- ავადმყოფის მოვლა ;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრი (ბი ემ სი)“ უზრუნველყოფს შემდეგი მოდულების განხორციელებას:

- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია.

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შესული განცხადების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტების მიმართ საქმიანობის დადასტურების/ნებართვის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება მემორანდუმებით გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით პრაქტიკის ობიექტების საქმიანობა.
ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების დროს უზრუნველყოფილი იქნებიან სავალდებულო რესურსით/აღჭურვილობით, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებენ შესაბამისი კვალიფიციის მქონე პერსონალი.

ექსპერტთა მიერ, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით შეფასდა გაფორმებული მემორანდუმები, რადგან ისინი გაფორმდა დადგენილების ამოქმედების შემდეგ. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მთავრობის დადგენილებითვე გაწერილი მინიმუმ 3 კრიტერიუმი და ჰქონდეს შეფასების მტკიცებულებები. აღნიშნული კრიტერიუმები და მტკიცებულების ფორმები დაწესებულებას წესის სახით უნდა ჰქონდეს გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ არ აქვთ წესი, რომლითაც მოხდებოდა პრაქტიკის ობიექტების შეფასება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/35 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები და განისაზღვრა 2 თვიანი ვადა წესის შესამუშავებლად. შესაბამისად, **სტანდარტთან მიმართებით აღნიშნული ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გასაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესის შემუშავება.**

2. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 39 პირი. მათი უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმი და ექთანია. ასევე, თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის დოკუმენტითა და გაფორმებული ხელშეკრულებებით იკვეთებოდა, რომ 4 განმახორციელებელი პირის შემთხვევაში ხელშეკრულებებში გაწერილი მოდულები და პროგრამის დანართში განმახორციელებელთათვის გაწერილი მოდულები აცდენილი იყო ერთმანეთთან. დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/36 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის დანართში და გაასწორა ის შეუსაბამობები, რომლებიც არსებობდა პროგრამის ადამიანური რესურსის დანართსა და ხელშეკრულებებში.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია 1 მასწავლებლის პირობითი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ის იღებს ვალდებულებას განახორციელოს მიკრობიოლოგიის მოდული, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დანართში აღნიშნული პირი გაწერილი არაა. ინტერვიუირებით გაირკვა, რომ აღნიშნული პირი არ იქნება ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული პირის პირობითი შრომითი ხელშეკრულება არ იყოს მოქმედი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შეფასებით გამოიკვეთა, რომ 2 პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის კვირეული დატვირთვა აღემატება 40 საათს. შესაბამისად, **მასწავლებელთა დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/36 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში, შესაბამისი ცვლილებები არ შეხებია განმახორციელებელთა დატვირთვას და პროგრამის მდგრადობას. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამა ხორციელდება იმ პერსონალის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. ამასთან საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დამატებით გაწერილია პრაქტიკის ინსტრუქტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ერთ მასწავლებელს არ უფიქსირდებოდა საექთნო მენეჯმენტის საფუძვლების მოდულის სწავლების კომპეტენცია, რადგან არის ინტერდისციპლინარული ინფორმატიკის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირი. შესაბამისად, დაწესებულებამ შეთანხმების გზით ცვლილება შეიტანა პირობით შრომით ხელშეკრულებაში, რის შედეგადაც აღნიშნული პირი არ განახორციელებს მოდულს „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“. ის განახორციელებს მხოლოდ ერთ მოდულს „საინფორმაციო ტექნოლოგიები საექთნო საქმეში“.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ჩართვამდე, უნივერსიტეტის ვალდებულებას საკუთარი სახსრებით ჩაუტაროს ტრენინგი სწავლებასა და შეფასების მეთოდოლოგიაში პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პრაქტიკის ინსტრუქტორებს. 2022 წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან შეხვედრა თემაზე „პროფესიული განათლების მასწავლებლების პედაგოგიური უნარების განვითარება“, რისთვისაც წარმოდგენილია შეხვედრის მონაწილეთა სია. ასევე, ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ და გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს დაწესებულების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგები.

4. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ბსუ-ში დასაქმებული. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი (ან კოორდინატორი), მათ შორის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

აღნიშნული რეგულაციით განსაზღვრულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის მოდიფიცირებას; ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და მათი მოწვევის/კონკურსის პროცედურების წარმართვას, ცენტრის დირექტორთან და ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით; ხელმძღვანელობს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართავს; პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ცენტრის დირექტორსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ და ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ; ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასების პროცესის წარმართვას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობას; ვალდებულია ითანამშრომლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით; ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პროფესიულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ. აღნიშნული დასტურდება ხელმძღვანელთა ინტერვიუირებითაც.

საქთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შერჩეული პირები აკმაყოფილებენ პროგრამის ხელმძღვანელისათვის დაწესებულ მოთხოვნებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის N 07-01/33 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაცია (საბიბლიოთეკო დოკუმენტის გატანა-დაბრუნება, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის უფლება, ბიბლიოთეკის მომხმარებლის უფლება-მოვალეობები, ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, მომხმარებლის პასუხისმგებლობა და სხვა). ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დაწესებულებამ მიიღო საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული სახით ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლება. შესაბამისად, საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით ხელმისაწვდომია ის ნორმატიული აქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ ბსუ-ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს და პერსონალს. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიის მატერიალურად ამობეჭდვა, რამდენადაც ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და პრინტერი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ბსუს-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ირკვევა, რომ სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. ასევე, თუ საჭიროება იქნება, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე აკომოდაცია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, რომელიც წარედგინება ცენტრის დირექტორს და მოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგენს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც უნივერსიტეტში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ.). ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

ცენტრის დირექტორის თქმით, სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება არ დასჭირვებიათ.

7. უნივერსიტეტის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აფინანსებს სახელმწიფო (ვაუჩერული დაფინანსება). ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისთვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ასანაზღაურებლად. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის ბიუჯეტით ირკვევა, რომ პროგრამის ფარგლებში რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 14 პროფესიულ სტუდენტს. შემოსავლის უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისთვის და პროგრამის განვითარების ხარჯებისთვის. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმებით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულებით;
- გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შეხვედრის მონაწილეთა სიით;
- მიღება-ჩაბარების აქტით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ინტერვიუირებით;
- ბრძანებებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 დადგენილებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;
   ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
   გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;
   დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაცია შიდა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანებით) დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ბსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. ხარისხის მექანიზმები ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მიღებასა და ანალიზს. კერძოდ, ხორციელდება მეცადინეობებზე დასწრება; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა; სასწავლო პროცესის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით; პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიულ მასწავლებელთა შეფასება; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა; დასაქმების სტატისტიკის წარმოება.

მიმდინარეობს მოგროვებული ინფორმაციის ანალიზი, მიღწეული შედეგების შედარება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით და გადაწყვეტილების მიღება. მისაღები გადაწყვეტილების ტიპი გამომდინარეობს პრობლემის ხასიათიდან და შეიძლება იყოს:

ა) მაკორექტირებელი ტიპის - რომელიც გულისხმობს დაუყონებლივი გადაწყვეტილების მიღებას ისეთი პრობლემების შემთხვევაში, რომლებიც ერთჯერადად იჩენენ თავს და არ აქვთ რეგულარული ხასიათი;

ბ) ადაპტაციური ტიპის - რომელიც გულისხმობს დაწესებულებაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას და გამოიყენება ისეთი პრობლემების მოგვარებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ განმეორებითი ხასიათი.

ადაპტაციური ტიპის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნდა შედგეს გაუმჯობესების გეგმა, რომლის აქტივობები, თავის მხრივ, ხდება ბსუ-ს შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის ნაწილი. არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. კერძოდ, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნების (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ბსუ-ს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესული განათლების მასწავლებელს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან ცენტრის ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აღნიშნული ცვლილების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას და ამავდროულად, შესაბამისი დასაბუთებისა და მტკიცებულებების წარდგენას. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოს შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას და აღნიშნულის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ინფორმაციის წარდგენას, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

ამავე წესით ასევე ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი არ მიიღებს ახალ პროფესიულ სტუდენტებს. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას. ამასთან, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით გაწერილია, რომ სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში). მოდული თუკი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. ვიზიტის პერიოდში, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცული არ იყო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. კერძოდ:
   - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების, გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების და ანესთეზიის, პედიატრია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მოზარდების მოდულებზე დაშვების წინაპირობა იყო მოდული „პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)“, რომელიც სრულდებოდა მე-46 სასწავლო კვირაში და მე-47 სასწავლო კვირიდან იწყებოდა მოდულები „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია“ და „პედიატრია და მოზარდები“.

- მოდულები „კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“ იწყებოდა 82-სასწავლო კვირაში, როდესაც შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკის მოდულზე დაშვების წინაპირობაა მისი კლინიკური მოდული.
- მოდულები „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“ და „კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“ იწყებოდა 115-ე კვირაში და მთავრდებოდა 127-ე კვირაში, როდესაც შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკის მოდულზე დაშვების წინაპირობაა მისი კლინიკური მოდული.
- მოდულზე „ქართული ენა B1“ დაშვების წინაპირობაა მოდული „ქართული ენა A2“, თუმცა მთავრდებოდა თუ არა „ქართული ენა A2“ იწყებოდა მოდული „ქართული ენა B1“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას თავისივე რეგულაციის შესაბამისად, კერძოდ წინაპირობებისა და წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს განსაზღვრული დროის შუალედის გათვალისწინებით, არ ჰქონდა სასწავლო გეგმა შემუშავებული. დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/36 ბრძანებით ცვლილება შეიტანა სასწავლო გეგმაში და გაასწორა არსებული ხარვეზები. შესაბამისად, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელშიც დაცულია როგორც დროის შუალედი, ასევე წინაპირობები.

2. ბსუს-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მეცადინეობების სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და ამტკიცებს ცენტრის დირექტორი. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე თავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე. პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შაბათი, როგორც სასწავლო დღე. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფიკით. აღნიშნული ასევე დასტურდება დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირებით. შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა ითვალისწინებს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან.
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და სხვა შემთხვევების დროს. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით. პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის, საწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფი, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით უზრუნველყოფს სტუდენტისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას. შემუშავებული გეგმა წარედგინება ცენტრის დირექტორს (მოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება თანამშრომლობის მემორანდუმებით. 2022 წლის 24 თებერვალს, დაწესებულებას თანამშრომლობის მემორანდუმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პრაქტიკული და კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრთან (ბი ემ სი) და სს ევექსის ჰოსპიტლებთან - მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალურ ჰოსპიტალთან და ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალთან. გაფორმებული მემორანდუმები ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს პროგრამის განხორციელების ვადით. მემორანდუმები მოიცავენ ინფორმაციას კლინიკების მიერ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ, რომელიც თითოეულისთვის შეადგენს 28 პროფესიულ სტუდენტს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი (ბი ემ სი)“ უზრუნველყოფს 2 კლინიკური მოდულის, სს „ევექსის ჰოსპიტლები“ - მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი“ 4 კლინიკური მოდულის, ხოლო სს „ევექსის ჰოსპიტლები“ - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი“ 8 კლინიკური მოდულისა და 2 პრაქტიკული სწავლების პროფესიული მოდულის (ავადმყოფის მოვლა; შინმოვლა) სწავლებას.

გაფორმებულ მემორანდუმებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფილია ზღვრული ოდენობის პროფესიული სტუდენტთათვის პრაქტიკის ობიექტზე მოდულების განხორციელება.

პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით ირკვევა, რომ შუალედური შეფასების კომისიაში შედიან პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები ან/და სხვა პირები. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად შედიან პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები. შესაბამისად, **სასურველია გაფორმებულ მემორანდუმებში პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან ერთად, დამატებით გაიწეროს შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ორგანიზაციების ბაზაზე, მემორანდუმებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო. კერძოდ, კლინიკური მოდულების განხორციელების დროს, თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებენ ერთის მხრივ უნივერსიტეტის ვალდებულებას კლინიკასთან კოორდინაციით უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მიერ კლინიკური მოდულების განხორციელებისას პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება, ხოლო მეორეს მხრივ, კლინიკა იღებს ვალდებულებას არ დაუშვას პროფესიული სტუდენტები პირადი დაცვის საშუალებების გარეშე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით;
- გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით;
- ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. ბსუს-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, განმეორებითი შეფასების, გასაჩივრებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები. აღნიშნული წესით ასევე გაწერილია პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის წარმოების სავალდებულოობა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
   სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, თუ მას სრულად ათვისებული ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. დაწესებულებას რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ შუალედური შეფასება სავალდებულია და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. შესაბამისად, **სასურველია ამ წესის შესაბამისად, შუალედურ შეფასებაში პროფესიული სტუდენტის სავალდებულო მონაწილეობა აისახოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც.**

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში). მოდული თუკი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. ბსუს-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება. შეფასების თაობაზე ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება პროფესიული მასწავლებლის მიერ შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შეფასების შედეგი გაასაჩივროს წერილობითი განცხადებით (აპელაცია), მისი გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. სტუდენტის განცხადების/აპელაციის კომისიური წესით განხილვის მიზნით ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე 2 სამუშაო დღის ვადაში გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ. კომისია 2 სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასების, აპელაციის საკითხს და შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებელს დაევალოს პროფესიული სტუდენტის ხელახალი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული ვადების გათვალისწინებით, ორი კვირის ვადაში შეუძლებელი იყო განმეორებითი შეფასების ჩატარება. დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/34 ბრძანებით ცვლილება შეიტანა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და განსაზღვრა, რომ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტუდენტს შეფასების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადების გათვალისწინებით, თუ შეფასების შედეგები შეიცვლება პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ, მაშინ 2-კვირიანი ინტერვალი წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის გათვალისწინებული იქნება, თუმცა აღნიშნული რეგულაციით არ იკვეთება, რა ვადებში ხდება ხელახალი შეფასების დანიშვნა, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო კომისია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემდეგ. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით, ისე რომ დაცული იყოს წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალი, ან შესაძლოა დაწესებულებამ სხვაგვარად დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევები, რაც ასევე განსაზღვრული უნდა იყოს შიდა რეგულაციით.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ბსუს-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც გაწერილია, რომ შეფასების ინსტრუმენტის პროექტს ვალიდაციის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელი წარუდგენს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტების თავსებადობას მოდულთან მიმართებაში. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია დაადასტუროს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებელს. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასებისთვის.

ვერიფიკაცია არის ცენტრში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). ცენტრი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით:

ა) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს/ინფორმაციას:

ა) შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ბ) ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;

გ) ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;

დ) ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რისკების რეესტრს. რისკების ანალიზის საფუძველზე ხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა, კერძოდ: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი; პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა. ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია ხდება შერჩევით (ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 30 პროცენტი). უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად მოწმდება.

ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად წარადგინოს ვერიფიკაციის დასკვნა, მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას ცენტრში სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის. ვერიფიკაციის დასკვნის შედეგების საფუძველზე, ცენტრი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც სრულყოფილად აისახება ყველა ის აქტივობა, რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად, ასევე აისახება განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისების შენახვას 25 წლის ვადით, რაც რეგულირდება საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია, რომ შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან/და ელექტრონული სახით დადასტურებას. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელთანაც შესრულების მტკიცებულებები ინახება მოდულის დასრულებამდე, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადაეცემა ცენტრს. სტუდენტის მიერ დადასტურებულ სწავლის შედეგებს პროფესიული განათლების მასწავლებელი აფორმებს ბსუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებულ უწყისში. ამავე წესით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის. აღნიშნული რეგულაციისგან განსხვავებით, საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით (ბოლო ცვლილება 07.06.2022) ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/მონაცემები/ მტკიცებულებები ინახება სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა და შესაბამისობაში მოვიდეს როგორც საქმეთა ნაერთ ნომენკლატურასთან, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვება - პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა. ასევე, ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებულია ცენტრში სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით;
- საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით;
- ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. ფოტოსურათები
დანართი 3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები

21.03.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____